ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/14

დაბა ქედა, 20 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:45 საათზე.

სხდომას საკრებულოს სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 16 ესწრებოდა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ციწცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე -ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლაშა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

სხდომას დაესწრო ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ უჩხითიში მცხოვრები მოქალაქე რესან ჟოჟაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/14 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

20 სექტემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	—
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	—
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	—

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/14 რიგგარეშე სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

20 სექტემბერი, 2022 წელი

№	სახელი,გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	[illegible]	61008015486	[illegible]	[illegible]	✓
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №01-06/14 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2.„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 აგვისტოს №13 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

5.ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 6 (ექვსი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6.„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და

დღის წესრიგის დამტკიცებამდე განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ და ისაუბრა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან მოქალაქეების მიღების ფორმაზე. მისი თქმით, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე პრობლემებით მოსულ მოქალაქეებს უშუალოდ არ იღებდა, ან თუ იღებდა ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ის) ან/და პოლიციის უფროსის თანდასწრებით ხდებოდა ეს, რაც დავით სირაბიძეს ყოვლად გაუმართლებელ საქციელად მიაჩნდა. აქვე გაიხსენა რამდენიმე თვის წინ მერთან შესახვედრად მისულ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წევრებს მერი ადგილზე არ დახვდათ, მასთან ვერც ტელეფონით კონტაქტზე გასვლა გახდა შესაძლებელი. ვერც ის დადგინდა სად იმყოფებოდნენ იმ დროს მერის მოადგილეებიც, მაშინ როცა დავით სირაბიძის თქმით მერიის შენობის პირველი და მესამე სართულები სრულიად პოლიციით იყო მობილიზებული - ,,ბატონ როლანდს თუ მერია საგამოძიებო ორგანო ან პოლიციის განყოფილება ჰგონია და სოფლიდან ჩამოსულ მოქალაქეებს სუს-ისა და პოლიციის უფროსის თანდასწრებით უნდა ხვდებოდეს, ეს ძალიან ცუდი მიდგომაა. მერი, რომელიც ხალხის საჭიროებებს უნდა ემსახურებოდეს და მათ პრობლემებს წყვეტდეს ასეთი მიდგომით არ უნდა მუშაობდეს. თუ მოქალაქეების უშუალოდ მიღების და მათთან დიალოგის ერთგვარი შიშები აქვს ბატონ როლანდს, უმჯობესია დაძლიოს ეს შიშები ან დატოვოს თანამდებობა და სხვამ გააგრძელოს საქმიანობა" - განაცხადა დავით სირაბიძემ.

ამასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ უპასუხა, რომ თუ იმ დროს მერთან იმყოფებოდნენ აღნიშნული უწყების ხელმძღვანელები და მათი თანდასწრებით მოხდა შეხვედრა ამაში ვერანაირ პრობლემას ან ცუდს ვერ ხედავდა. მერის ადგილზე ყოფნას რაც შეეხებოდა, ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის პირველ პირს ხშირად უწევს ოფიციალურ/საქმიან შეხვედრებზე, ღონისძიებებზე, ამა თუ იმ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე გასვლა და იმ მომენტისათვის თუ, მერი ადგილზე არ იმყოფებოდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გამიზნულად არ ხვდებოდა და თავს არიდებდა მოსახლეობასთან ან/და ოპოზიციურ პარტიის წარმომადგენლებთან შეხვედრას, თორემ მერს მოქალაქეებთან კომუნიკაციის და მათი მიღების პრობლემა ნამდვილად არ ჰქონია არასდროს. ,,ძალიან მარტივად ჩანს ეს ყველაფერი მერთან მოქალაქეების მიღების განრიგით, როცა ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ მოქალაქეს იღებს როგორც მერი, ასევე მერის მოადგილეები, სადაც არც სუს-ის და არც პოლიციის უფროსი არ ესწრება" - განაცხადა ამირან ცინცაძემ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -16
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №01-06/14 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222592-95, 16.09.2022 წელი) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება თანამდებობრივი სარგოში და კატეგორიებში ცვლილების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი

პროექტის შესაბამისად ახლიდან ჩამოყალიბდა. აქედან გამომდინარე, დადგენილებით დამტკიცებული დანართში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები: განხორციელდა 1 საშტატო ერთეულის რანგისა და კატეგორიის ცვლილება. კერძოდ, საქმისწარმოების განყოფილებაში განსაზღვრული არის 2 (ორი) საშტატო ერთეული, პირველი და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში, მაგრამ განხორციელდა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საქმისწარმოების საკითხებში თანამდებობის ცვლილება. შესაბამისად, განისაზღვრა IV რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში, ხოლო საშტატო რაოდენობა ამ ნაწილში უცვლელი დარჩა. სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-6 სვეტის - კოეფიციენტი 0.8-ით განისაზღვრა რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (0.8 X 1100 = 880) თანამდებობრივი სარგო 880 ლარს შეადგენს.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში მისი თავდაპირველი მიღებიდან ანუ 2018 წლიდან იმდენი ცვლილება არ განხორციელებულა, რაც მისი საკრებულოს წევრად ყოფნის პერიოდში მოხდა. თითქმის ყველა სხდომაზე დღის წესრიგში მერიის საშტატო ნუსხის ცვლილებება იყო. ამ რიგგარეშე სხდომაზეც მერიას წარმოდგენილი ჰქონდა საშტატოს ცვლილებაზე დადგენილების პროექტი და ითხოვს საკრებულოს თანხმობას. დაწესებულებას, რომელსაც საკრებულო უმტკიცებს საშტატოს და ამავე დროს მას როგორც საკრებულოს წევრს, მერია ეუბნება წერილობით უარს ჰქონდეს ინფორმაცია მაგალითად, იმაზე თუ ვინ არის ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმობის სპეციალისტად დასაქმებული. მისი აზრით ეს არ იყო სწორი დამოკიდებულება და მომხსენებელს ჰკითხა თუ რამდენად სამართლიანი იყო ეს ქმედება?

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ დავით სირაბიძეს განუმარტა, რომ ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის" კანონიდან გამომდინარე, მერიას შეუძლია მხოლოდ მიაწოდოს ინფორმაცია თუ რამდენი პირია დასაქმებული მუნიციპალიტეტის მერიაში, რამდენი ჯილდო გაიცა, რამდენია ამა თუ იმ შტატზე თანამდებობრივი სარგო, ხოლო რაც შეეხებოდა სახელობით სიას, ამ ინფორმაციის გაცემა კანონიდან გამომდინარე შეიძლება მხოლოდ დასაქმებული პირის (თანამშრომლის) თანხმობით.

აქვე იკითხა დავით სირაბიძემ რანგირებისა და კატეგორიების ცვლილებებს რა მიზანი ჰქონდა და სამომავლოდ რას ცვლიდა უკეთესობისკენ, მისი თქმით ესეც იმისკენ ხომ არ იქნებოდა მიმართული, როგორც ბოლო დროს ტენდენციად იქცა მერიაში ყოფილი საკრებულოს წევრების დასაქმება, ისე ხომ არ იქნებოდა გათვლილი კონკრეტულად ვინმესთვის?

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ საშტატო ნუსხაში რანგით მე-4 კატეგოორის სპეციალისტის დამატებით/განსაზღვრით მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმების მსურველ მოქალაქეთათვის მარტივდებოდა დასაქმება, რადგან ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით პირს შეულძია დასაქმდეს საჯარო სამსახურში თუ ის არის 18 წლის საქართველოს მოქალაქე, თუმცა ის ამავე დროს უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულების მიერ დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს, მერიის მიერ დაწესებულ სპეციალურ მოთხოვნებში კი დასაქმების მსურველი პირი აუცილებლად უმაღლესი განათლებით უნდა იყოს, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით საშუალო ან პროფესიული განათლების მქონე პირსაც შეეძლება მიიღოს მონაწილეობა მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება: №14, დ-95.95222634)

2.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 აგვისტოს №13 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 აგვისტოს №13 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222592-95, 16.09.2022 წელი) და განმარტა, რომ მოქმედ საშტატო ნუსხაში ახალი ცვლილებების შეტანამ გამოიწვია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მერის მიერ ასევე წარმოდგენილია ახალი ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი“, რომლის დამტკიცებაც გამოიწვევს აღნიშნული დადგენილების ცვლილების გაუქმებას, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილება აღარ იქნას მიღებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 16

დაადგინეს: არ იქნას მიღებული წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222592-95, 16.09.2022 წელი) და განუმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი საჯარო მოხელეთა განსაზღვრულ თანამდებობრივი სარგოში, რანგებსა და კატეგორიებში ცვლილების შეტანა იყო და აქვე აღნიშნა, რომ საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა ხდება „საჯარო დაწესებულებაში შრომითი ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 დანართში ასახულ სახელფასო კოეფიციენტის გამრავლებით „2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განსაზღვრულ საბაზისო განაკვეთზე (1100 ლარზე) შესაბამისად:

I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი - 9 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-3 სვეტის - კოეფიციენტი 1.5-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1650 ლარს) ნაცვლად განისაზღვრა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 2.0-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (2.0X1100=2200) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2200 ლარს;

II რანგი – მეორადი დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი 14 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-3 სვეტის - კოეფიციენტი 1.2-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1320 ლარს) ნაცვლად განისაზღვრა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 1.6-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.6X1100=1760) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1760 ლარს;

III რანგის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (2 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 1.1-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1210 ლარს) ნაცვლად განისაზღვრა მე-6 სვეტის - კოეფიციენტი 1.3-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.3X1100=1430) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1430 ლარს;

III რანგის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (9 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-4 სვეტის - კოეფიციენტი 1.0-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1110 ლარს) ნაცვლად განისაზღვრა მე-6 სვეტის - კოეფიციენტი 1.3-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.3X1100=1430) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1430 ლარს. III რანგის - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (26 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-5 სვეტის - კოეფიციენტი 0.8-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 880 ლარს) ნაცვლად განისაზღვრა მე-7 სვეტის - კოეფიციენტი 1.2-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.2X1100=1320) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1320 ლარს;

IV რანგის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (1 თანამშრომელი) სახელფასო კოეფიციენტის ოდენობა მე-6 სვეტის - კოეფიციენტი 0.8-ის (რა შემთხვევაშიც საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით თანამდებობრივი სარგო შეადგენს 880 ლარს) ნაცვლად განისაზღვრა მე-9 სვეტის - კოეფიციენტი 1.2-ით, რაც მისი საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით (1.2X1100=1320) თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1320 ლარს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში (10 თანამშრომელი) თანამდებობრივი სარგოს 990 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1300 ლარის ოდენობით; სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში (22 თანამშრომელი) თანამდებობრივი სარგოს 715 ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1000 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტი მიმდინარე წლის 17 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზეც იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, იმ სხდომაზეც გამოთქვა სურვილი საკითხზე ადმისტრაციული წარმოება დაწყებულიყო, თუმცა საკრებულოს თავმჯდომარის არგუმენტით საკითხი დაჩქარებული წესით უნდა მიღებულიყო და მიიღეს კიდეც. იმავე სხდომაზეც ოპოზიციურ ფრაქციას არ დაუჭერია მხარი ამ საკითხზე და არც ახლა აპირებდა მისი ფრაქცია მხარდაჭერას, რადგან ეს მერიის მხრიდან საკრებულოს დაცინვად მიაჩნდა, მისი აზრით საკრებულოს არაფრად თვლიდა მერია და საკრებულოს მიმართ ჰქონდათ მხოლოდ ის დამოკიდებულება, თითქოს მერიის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულება იყო, სადაც რა ცვლილებასაც მოისურვებდნენ განუხილველად და ყოველგვარი კითხვების გარეშე მაშინვე დაუმტკიცებდა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ამასთან დაკავშირებით დავით სირაბიძეს უპასუხა, რომ საკითხში ცვლილების შეტანა, საკრებულოში მისი მრავალჯერ შემოტანა ან/და საკითხის დაჩქარებული წესით მიღება ჩვეულებრივი საქმიანი პროცესი იყო. აღნიშნული დადგენილების დამტკიცებით ახალი სარგოებში ცვლილება არ შედიოდა, მხოლოდ ერთი საშტატო ერთეული იცვლებოდა. საჭიროება კი მხოლოდ ზემო აღნიშნულმა ცვლილებებმა შექმნა და სხვა არაფერი ხდებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, მინდია არძენაძე, გოჩა ჟღენტი)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება: №15, დ-95.95222641)

4.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში

უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222572-95, 14.09.2022 წელი) და განუმარტა, რომ უნდა განხორციელებულიყო ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მდებარე 1500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.02.32.392) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა. შემდგომში ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხითში მცხოვრები მოქალაქე რესან ჟოჟაძის (პ/ნ-61008015486), საცხოვრებელი სახლის, სხვა უსაფრთხო ტერიტორიაზე ადგილმონაცვლეობის განხორციელების მიზნით. ვინაიდან სოფელ უჩხითში მდებარე რესან ჟოჟაძის საცხოვრებელი სახლი და საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი დამეწყრილია და სპეციალისტების დასკვნის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლი ექვემდებარებოდა, სხვა უსაფრთხო ტერიტორიაზე ადგილმონაცვლეობას. ამასთან, აღნიშნული პიროვნება ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, გააჩნია ხის დამუშავების სახელოსნო და აწარმოებს ხეზე კვეთის ნიმუშებს, რომელიც წარმოადგენს მისი ოჯახის არსებობის ძირითად წყაროს. ვინაიდან, მიწის ნაკვეთის შესყიდვის შესაძლებლობა რესან ჟოჟაძის მცირეშემოსავლიან ოჯახს არ აქვს, ამიტომ ქონების გადაცემა უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, რისი უფლებამოსილებაც ქედის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია და საკითხის მოგვარებისთვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება.

აზრი გამოთქვეს:

კითხვა დასვა საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა, სოფელ უჩხითში სხვა დამწყრილ ოჯახების მიმართ რა ხდებოდა, რადგან მისი თქმით უჩხითიდან არ იყო არცერთი ოჯახი, რომლებსაც მერიის მიერ ანაზღაურებოდათ რამე.

რაზედაც საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ უპასუხა, რომ ეს პროგრამა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ფინანსდებოდა და ნამდვილად გაიცა ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარება. თუ სახელობითი სიის გაგება უნდოდათ შესაბამისი სამსახურიდან შეიძლებოდა ამისი გამოთხოვა და მიიღებდა ამაზეც ზუსტ ინფორმაციას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამაში ცუდი არაფერი არ იყო, პირიქით ასეთ ადამიანებს სახელმწიფოსგან ხელშეწყობა თუ აქვთ კარგია. თუმცა აინტერესებდა აღნიშნული პირი სახლს თავისი სახსრებით ააშენებდა თუ ეხმარებოდა მუნიციპალიტეტის მერია.

ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე პიროვნების მიერ მოთხოვნილია საცხოვრებელის ადგილმონაცვლეობა და შემდგომში თუ რაიმე დახმარება მოხდებოდა საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით ამაზე წინასწარ ვერაფერს იტყოდა, ამ ეტაპზე კი მხოლოდ მიწის გადაცემა ხდებოდა.

დავით სირაბიძემ აქვე მომხსენებელს კითხვით მიმართა, ერთერთ საკრებულოს სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას საკრებულოს თანხმობით აქუცაში მიწის ნაკვეთი გადაეცა და იკითხა იქ განსახორციელებელი პროექტი, სანატორიუმის მოწყობა-მშენებლობის საკითხი რა ეტაპზე იყო ამჟამად?

ამასთან დაკავშირებით მომხსენებელმა უპასუხა, რომ დაზუსტებით ის იცოდა მხოლოდ, რომ ჯერჯერობით მშენებლობის ნებართვა კომპანიას არ აუღია. სხვა დეტალებს კი ამ თემის შესახებ არ ფლობდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: №გ-95.95222633, 20.09.2022 წელი)

5.მოისმინეს: ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 6 (ექვსი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული 6 (ექვსი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95222521-95, 09.09.2022 წელი) და განუმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არსს წარმოადგენდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონებები:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, დ. აღმაშენებლის ქუჩა №24-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა №3 (ს/კ 21.03.12.037.01.003);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკაკი წერეთლის ქუჩა №3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა №1 (ს/კ 21.03.33.044.01.001);

გ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკაკი წერეთლის ქუჩა №3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა №2 (ს/კ 21.03.33.044.01.002);

დ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკაკი წერეთლის ქუჩა №3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა №6 (ს/კ 21.03.33.044.01.500);

ე) ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე საცხოვრებელი ბინა №2 (ს/კ 21.01.02.029.01.002);

ვ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე საცხოვრებელი ბინა №1 (ს/კ 21.01.02.029.01.001). რადგან შემდგომში იქ მცხოვრებ მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მომხსენებელს ჰკითხა, პირველ მაისის ბინებთან დაკავშირებით რა ხდებოდა და რა ეტაპზე იყო ეს საკითხი ამჟამად, რადგან სექტემბერის თვე სრულდებოდა უკვე და მოსახლეობა მისი ინფორმაციით კიდევ არ იყო შესახლებული.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ უპასუხა, რომ ბინები მოქალაქეებზე ოფიციალურად გადაცემული და დარეგისტრირებული იყო. შესაბამისად, საცხოვრებელი ფართები მათი საკუთრება იყო უკვე და ნებისმიერ დროს შეეძლოთ სარგებლობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: №გ-95.95222632, 20.09.2022 წელი)

6.მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის

შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95222585-95, 15.09.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მომხსენებელს კითხვით მიმართა, მიმდინარე წელს სამი ახალი ავტომანქანის (2 დასტერის და 1 პიკაპის) შეძენა მოხდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ვისთვის იქნა შეძენილი ან/და რომელი ავტომობილები ჩაანაცვლა?

რაზედაც მომხსენებელმა, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა, სულიკო ბოლქვაძემ უპასუხა, რომ უბრალოდ განახლება მოხდა ავტოპარკისა. შვიდ მანქანას ყიდის მერია და სამი ახალი შეიძინა. მიმდინარე წლის ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის მერიას ჰქონდა ამის საშუალება და ნაწილი ტექნიკის განახლება შეიძლებოდა. აქვე აღნიშნა მომხსენებელმა, რომ ძველი ავტომანქანების შეკეთება წლიურად იმდენად ხარჯიანი იყო მუნიციპალიტეტისთვის, რომ ახალი ავტომანქანის შეძენა თავისუფლად შეიძლებოდა იმ თანხით.

დავით სირაბიძემ იკითხა თუ რა დაუჯდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას ჯამში 3 ახალი ავტომანქანის შეძენა?

მომხსენებელმა უპასუხა, რომ ზუსტი თანხა არ იცოდა, რადგან ავტომანქანების შეძენა კონსოლიდირებული ტენდერით მოხდა და მას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, თუმცა ამის გაგება ბუღალტერიაში შეეძლოთ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება: №გ-95.95222631, 20.09.2022 წელი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:45 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **ნონა ბერიძე**